დაიწყო მობილობის პროცესი!

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (www.students.emis.ge) გაიაროს რეგისტრაცია **2023 წლის 30 იანვრიდან 08 თებერვლის 18:00 საათამდე.**

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის/ფაკულტეტის შეცვლის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა **2023 წლის 09 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით** მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა წარმოადგინონ საბუთები.
ელექტრონული ფოსტა: kharchilavanin@gmail.com
საკონტაქტო პირი: ნინო ხარჩილავა, ტელ: 593 482 486;
მისამართი: ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა ფშაველას ქ. №19/32.

სახელოვნებო-შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა საყურადრებოდ!

სახელოვნებო-შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის მსურველი, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე, გადის შემოქმედებით ტურს დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

სახელოვნებო-შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობ-ით ჩარიცხვა ხორციელდება მხოლოდ დაწესებულების მიერ შემოქმედებითი ტურის შედეგების მიხედვით და დაწესებულება ვალდებულია კონკურსის შედეგები არაუგვიანეს ელექტრონულ პორტალზე სტუდენტთა რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე 3 სამუშაო დღით ადრე, აცნობოს მობილობის მსურველს და ასევე, ელექტრონული ფორმით მიაწოდოს მართვის სისტემას ამ წესით განსაზღვრული ინფორმაცია.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის მსურველებმა
უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება (შევსებული ელექტრონულად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება (შევსებული ელექტრონულად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;

დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა (სტატუს შეჩერებულმა სტუდენტებმა) უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება (შევსებული ელექტრონულად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტ-ის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი.

საშემსრულებლო მიმართულებით სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმო-სვლის ან/და ფაკულტეტის შეცვლის მსურველთათვის შემოქმედებითი ტური ჩატა-რდება **2023 წლის 02 თებერვალს 12:00 საათზე.**

კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განაცხადის რეგისტრა-ცია იწარმოებს 2023 წლის 16 თებერვალს.